შპს "ტელეკომპანია პირველის" ს/ნ 405034190 თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შპს „ტელეკომპანია პირველის" თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში 2024 წლის 20 მაისს წარმოდგენილ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით

30 ივნისი 2024 წელი

თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს თავმჯდომარე: ნათია კაპანაძე
თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრი: გიორგი მშვენიერაძე
თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრი: ანნა ლაპიაშვილი
სადავო მასალის ავტორი: მაკა ჩიხლაძე

დაინტერესებული პირი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი ან/და დაინტერესებული პირის წარმომადგენელი სხდომას არ ესწრებოდა.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ტელეკომპანია პირველის" თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (შემდგომში - სააპელაციო ორგანო) წარმოდგენილია დაინტერესებული პირის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი კალანდარიშვილის 2024 წლის 20 მაისის სააპელაციო საჩივარი (კორესპონდენცია #675-01-02-2-202405201711 No01-02/675).

სააპელაციო საჩივარი ეხება შპს „ტელეკომპანია პირველის" თვითრეგულირების პირველ ინსტანციაში 2024 წლის 12 მარტს შესულ საჩივარს, რომლითაც დაინტერესებული პირი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სადავოდ მიიჩნევს "ტელეკომპანია პირველის" ეთერში, გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი" 2 მარტს (ბმული ხელმისაწვდომია) გავრცელებულ მასალას "**ვის ხელშია არჩევნები: ქმარი ცესკო-ს თავმჯდომარე - ცოლი „ქართუს" მაღალჩინოსანი."**

აღსანიშნავია, რომ თვითრეგულირების პირველი ინსტანციის 30 აპრილის გადაწყვეტილებით: მაუწყებელს დაევალა გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ფრაზის შესწორება: **„შევარდნაძის მმართველობისას გიორგი კალანდარიშვილის მამა მართლაც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა ბატონი სამსონი თანამდებობიდან ხელისუფლების შეცვლისთანავე, 2003 წელს გათავისუფლდა და ახლა ის უკვე გარდაცვლილია. ამასთან ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ ის ოჯახის დაგროვილი დოვლათი იყო რატომ თარიღდება მსხვილი შენაძენები მამის პოსტზე მუშაობიდან თითქმის 20 წლის შემდეგ".**

შპს „ტელეკომპანია პირველის“ თვითრეგულირების პირველი ინსტანციის კომისიამ დანარჩენ მოთხოვნებში არ დააკმაყოფილა საჩივარი.

დაინტერესებული პირი სადავოდ მიიჩნევს მასალის “**ვის ხელშია არჩევნები: ქმარი ცესკო-ს თავმჯდომარე - ცოლი „ქართუს“ მაღალჩინოსანი.”** შემდეგ დეტალებს (ამონარიდი):

სადავო საკითხი 1:

გაუგებარია სიმამრით მამის ჩანაცვლებაზე აპელირება, მაშინ როდესაც მკაფიო განმარტებები იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი. კერძოდ, ის, რომ მამაჩემი 2001 წლის 7 ოქტომბერს გარდაიცვალა. ის გახლდათ მეცნიერი, შესაბამისი აკადემიური ხარისხით და მას არანაირი შემხებლობა, მითუმეტეს გადაცემაში დასახელებულ პერიოდში, სახელმწიფო თანამდებობებთან არ ჰქონია. შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, არც მამა - სამსონ კალანდარიშვილი და არც სიმამრი - გურამ ჩიკვილაძე, 2003 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არ გათავისუფლებულა სამსახურიდან და არცერთი ხსენებულ პერიოდში არ საქმიანობდა საჯარო სამსახურში, რაც უკვე ცნობილია წინა წერილებით წარმოდგენილი ინფორმაციიდან.

სადავო ფრაზები:

„შევარდნაძის მმართველობისას გიორგი კალანდარიშვილის მამა მართლაც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა ბატონი სამსონი თანამდებობიდან ხელისუფლების შეცვლისთანავე, 2003 წელს გათავისუფლდა და ახლა ის უკვე გარდაცვლილია. ამასთან ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ ეს ოჯახის დაგროვილი დოვლათი იყო რატომ თარიღდება მსხვილი შენაძენები მამის პოსტზე მუშაობიდან თითქმის 20 წლის შემდეგ.“

სადავო საკითხი 2:

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სიუჟეტში ნაჩვენებია ჟვანიას ქუჩის პირველ ნომერში ბინა No1, რომელიც არასდროს არ წარმოადგენდა ჩემი მეუღლის დედის საკუთრებას. ადგილზე მისვლისას ჟურნალისტები იმყოფებოდნენ არასწორ ბინაში და შეუძლებელია, რომ მათ ლალი ზანდუკელის მიერ ბინის ფლობა დაედასტურებინათ, ვინაიდან ის მის საკუთრებას არ წარმოადგენს, რაც ასევე ცალსახად დასტურდება საჯაროდ ხელმისაწვდომი ამონაწერით, რომ მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არის ამავე მისამართზე მე-3 სართულზე არსებული საცხოვრებელი ფართი და არა პირველ სართულზე. სიუჟეტში კი, ნაჩვენებია პირველ სართულზე არსებული საცხოვრებელი ფართი. საჯარო რეესტრის ამონაწერით ცნობილი იყო, რომ ჩემი მეუღლის დედის სახელზე ერთ დროს ნამდვილად ირიცხებოდა ჟვანიას ქუჩის პირველ ნომერში ბინა No3, რომელიც განთავსებული იყო არა პირველ, არამედ მე-3 სართულზე, როგორც ზემოთ აღინიშნა. სართულის მითითების შესახებაც კი, აღნიშნულია ინფორმაცია საჯარო რეესტრში არსებულ საჯაროდ ხელმისაწვდომ ამონაწერში (იხ. საკადასტრო კოდი No01.14.11.060.076.01.003). დღეის მდგომარეობით კი (2021 წლიდან), ის ბინის იურიდიულ მესაკუთრეს აღარ წარმოადგენს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

სადავო საკითხი 3:

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ როგორც ჩემ მიერ შპს „ტელეკომპანია პირველი“-ს თვითრეგულირების კომისიაში თავდაპირველად წარმოდგენილ პოზიციაში აღინიშნა, ჩემი მეუღლის მამას არანაირი შემხებლობა არ აქვს ჩემი ოჯახის ქონებასთან და სიუჟეტში დასახელებულ საცხოვრებელ კორპუსში ამ დროისთვის არანაირ ქონებას არ ფლობს. ამავდროულად, გადაცემის გასვლის

მომენტში, დედის სახელზე რეგისტრირებული ერთი საკუთრება, გადაფორმებული იყო ჩემი ძმის სახელზე, რის თაობაზეც, ჩამორთმეული ინტერვიუს ფარგლებში, პირადად მქონდა აღნიშნული ჟურნალისტთან, თუმცა, სიუჟეტში ინფორმაცია მანიპულაციურად არის წარმოჩენილი, თითქოს ჩემი მეუღლის, ჩემი დედის და სიმამრის საკუთრება, რეალურად წარმოადგენდა ჩემი პირადი ოჯახის საკუთრებას. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ პირადად ჩემი ოჯახის (მეუღლე და შვილები) საკუთრებაში ხსენებულ კორპუსში არის მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინა (რომელიც ირიცხება მეუღლის სახელზე), ხოლო დედის საკუთრებაში არის 2 საცხოვრებელი ბინა, რაც ჯამურად 5-ს ნამდვილად არ შეადგენს. ქვე გაცნობებთ, რომ ამავე კორპუსში ჩემი ძმა ნამდვილად ფლობს 1 საცხოვრებელ ბინას, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული. ამასთან, გვსურს დამატებით ინფორმაციისთვის მოგაწოდოთ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ოჯახის წევრად ძირითადად განიმარტება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი. შესაბამისად, გაცნობებთ, რომ არც დედა და არც ძმა არ წარმოადგენენ ჩემთან მუდმივად მცხოვრებ პირებს. დედას თავისი საცხოვრებელი ბინა აქვს თბილისში და ფაქტობრივად ცხოვრობს და საქმიანობს ქუთაისში, ხოლო ჩემი ძმა მრავალი წელია ცხოვრობს და საქმიანობს უცხოეთში და შესაბამისად ისინი ჩემთან მუდმივად მცხოვრებ პირებს არ წარმოადგენენ, აქედან გამომდინარე არც კანონის მიზნებისთვის ოჯახის წევრებს.

სადავო საკითხი 4:

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, იმის მიუხედავად, რომ ამის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს და არ წარმოუდგენია სიუჟეტის ავტორს, ის მიუთითებს, რომ ჩემი ძმის ბინაც შესაძლოა ჩემ საკუთრებას წარმოადგენდეს. სინამდვილეში კი, აღნიშნული ბინა ჩემს ძმას 2007 წელს აქვს შეძენილი და დღემდე წარმოადგენს მის პირად საკუთრებას.

სადავო საკითხი 5:

“გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დედას მემკვიდრეობით დარჩა გარკვეული უძრავი ქონება. მათ შორის, ფართი ქუთაისში - სტამბის შენობაში, საცხოვრებელი სახლი და ა.შ. მას ასევე, ჰქონდა საცხოვრებელი ფართი თბილისში. სწორედ აღნიშნული ქონების სხვადასხვა დროს რეალიზების შედეგად და შვილების თანამონაწილეობით მან შეძლო საცხოვრებელი ფართების შეძენა ქ. თბილისში. იუჟეტში საუბარია, რომ დედას აქვს 3 ბინა ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილ კორპუსში, თუმცა, გადაცემის გასვლის მომენტში, აქედან ერთი ბინა ჩემი ძმის - მიხეილ კალანდარიშვილის სახელზე იყო გაფორმებული. მივყვეთ ქრონოლოგიურად:

2021 წლის 27 დეკემბერს, იპოთეკური ხელშეკრულების საფუძველზე შევიძინეთ 61.30 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართი, რომელიც დედაზე იქნა გაფორმებული. 2022 წლის 16 დეკემბერს, პარალელური იპოთეკური სესხით, ჩემი ძმის და დედის თანამონაწილეობით, შევიძინეთ 146.60 კვ.მ ფართი სიუჟეტში ხსენებულ კორპუსში, რომელიც 2023 წლის 21 აპრილს გაიმიჯნა 2 ნაწილად. 2024 წლის 28 თებერვალს კი, გამიჯნული ფართიდან 86.60 კვ.მ ჩუქებით გადაფორმდა ჩემს ძმაზე - მიხეილ კალანდარიშვილზე, ვინაიდან, აღნიშნული ბინის მესაკუთრე თავიდანვე ის გახლდათ, თუმცა, ქვეყანაში არყოფნის გამო, მანამდე ვერ მოხერხდა მის სახელზე საკუთრების გადაფორმება. აღსანიშნავია, რომ ჩემი ძმა, მიხეილ კალანდარიშვილი, მრავალი წელია სამედიცინო საქმიანობას ეწევა. ბოლო რამდენიმე წელი კი გერმანიის სხვადასხვა წამყვან კლინიკაში

ქირურგად მუშაობს. მან სწორედ საკუთარი საქმიანობის შედეგად მიღებული დანაზოგით შეიძინა ბინა. აღსანიშნავია, რომ ორივე ბინის შეძენის მიზნით გარკვეული ფინანსური თანამონაწილეობისათვის

აღებული იპოთეკური სესხების შესახებ ინფორმაცია, საიდანაც ერთი 2021 წელს 10 დეკემბერს იქნა აღებული 65 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მეორე 1 წლის თავზე, 2022 წლის 16 დეკემბერს 150 500 ლარის ოდენობით, მითითებულია ჩემ მიერ შევსებულ დეკლარაციაში და, ამავდროულად, იპოთეკით დატვირთვისა და სესხების არსებობის შესახებ, ინფორმაცია აღნიშნულია ამავე საცხოვრებელი ფართების საკუთრების დამადასტურებელ ამონაწერებში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ რეალურად დედის სახელზე მითითებულ კორპუსში ორი და არა სამი ბინაა გაფორმებული. საგულისხმოა, რომ ეს ინფორმაცია სიუჟეტის ავტორს პირადად მივაწოდე, თუმცა, მისი მხრიდან აღნიშნულის გათვალისწინება არ მომხდარა. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ დედა არ წარმოადგენს დეკლარაციის შევსებას დაქვემდებარებულ პირს, თუმცა მის სახელზე არსებული ქონების შესახებ ინფორმაცია სრულად ასახულია საჯარო რეესტრში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

სიცრუეა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შპს „ტელეკომპანია პირველი“-ს წარმომადგენლებმა ოფიციალურად მომმართეს ან მე ან ცესკოს და სტამბის ან სხვა ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოითხოვეს. ასევე, არასწორია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ინფორმაცია ამის შესახებ საჯარო რეესტრში არ იძებნება. აღსანიშნავია, რომ ქეთევან აბდალაძის

მიერ, სტამბის რეალიზების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში (იხ. საკადასტრო კოდი No03.04.31.412.01.504, საიდანაც დგინდება პირველ რიგში ფლობის, ასევე შემდგომ გასხვისების ფაქტი).”

სადავო საკითხი 6:

“გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სიუჟეტის ავტორი ყოველგვარი სამართლებრივი და ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე ავითარებს მოსაზრებას ჩემსა და კომპანიას შორის შესაძლო კავშირის შესახებ. აქვე მინდა განვმარტო, რომ ჩემი ოჯახის წევრებმა საცხოვრებელი ფართები შეისყიდეს არა გადაცემაში ხსენებული კომპანიისგან, არამედ კონკრეტული ბინების მფლობელი სხვადასხვა მესაკუთრისგან. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის და მათ შორის არცერთი ამონაწერით არ დგინდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩემი ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან განხორციელდა გადაცემაში ხსენებული სამშენებლო კომპანიისგან ბინის შესყიდვა. შესაბამისად, არათუ სამართლებრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, არამედ არანაირ ლოგიკაშიც კი არ ხვდება ჩვენი კავშირი სამშენებლო კომპანიასთან, გარდა იმისა, რომ მათ მიერ აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში ვფლობთ საკუთრებას. ასევე, საერთოდ უცნობია ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის, კომპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამშენებლო საკითხი, გარდა იმისა, რომ ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით ჩემი მეუღლის და ჩემი დედის საკუთრებაში არსებული და სიუჟეტში მოხსენიებული ვაკის რაიონში მდებარე საცხოვრებელი ფართები, ექსპლუატაციაში არ არის მიღებული და ჩაბარებული სათანადო წესით საჯარო რეესტრში, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი ამონაწერებით.”

სადავო საკითხი 7:

“გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ როგორც სიუჟეტში, ასევე „ნოდარ მელაძის შაბათის გუნდის“ მიერ ცესკოში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებაში არასრულწლოვან შვილებზე ხაზგასმა, მათ შორის, მათი ქონებრივი თუ სხვა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, არ შეესაბამება ერთი მხრივ ჟურნალისტური ეთიკის და მეორე მხრივ ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ რაც შეეხება გ. შატბერაშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსში არსებულ საცხოვრებელ ფართს, მე და ჩემმა მეუღლემ ის იპოთეკური სესხითა და დანაზოგით 2017 წელს

კეთილსინდისიერად შევიძინეთ და იმთავითვე ბინა ჩვენი შვილის სახელზე გავაფორმეთ. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ სიუჟეტში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ჩემს შვილებზე ბინების გაფორმებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ჩვენი შიდა ოჯახური გადაწყვეტილებები არ წარმოადგენს

საჯარო განხილვის საგანს. ამ თემით მანიპულირება კი, მხოლოდ უსაფუძვლო ეჭვების შექმნას და გამძაფრებას ემსახურება. ამას გარდა, არასრულწლოვანი შვილების სიუჟეტში მოხსენიება, მათ შორის მათი ქონებრივი თუ სხვა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, არ შეესაბამება ერთი მხრივ ჟურნალისტური ეთიკის და მეორე მხრივ ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დეკლარაციაში უძრავი ქონება ასახულია სრულყოფილად, მიუხედავად იმისა, დროის სხვადასხვა მონაკვეთში ვის სახელზე იყო აღრიცხული, რაც, ბუნებრივია, რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ წარმოადგენს და გადაცემაში გამოყენებული იყო მანიპულაციურად. ამასთან გაცნობებთ, რომ ბინის შვილიდან დედაზე გადაფორმება, განპირობებული იყო შიდა ოჯახური საჭიროებით.

სადავო საკითხი 8:

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-8 პუნქტთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ ჩემი ოჯახის წევრებისთვის უცნობია, 2 საცხოვრებელ ფართში არსებული პირების ეროვნება (გარდა მოქალაქეობისა) და კონკრეტული გარიგების მიღმა არ არსებობს მათთან სხვა რაიმე შემხებლობა.

ამასთან, უცნაურია ჟურნალისტის მხრიდან საცხოვრებლის გაქირავებისას დამქირავებელთა მოქალაქეობის საკითხის განხილვა, რადგან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

საქართველოს კანონით აკრძალულია პოტენციურ დამქირავებლებს უარი ეთქვათ საჯაროდ ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებაზე, მათ შორის საცხოვრებელთან დაკავშირებით გარიგების დადებაზე, მოქალაქეობის, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნის გამო. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, სიცრუეა, თითქოს ჩემი სიდედრი ფლობს საკუთრებას და თან აღნიშნული საკუთრება გაქირავებულია (იხ. მე-2 პუნქტის პასუხი).

ამასთან, „ნოდარ მელაძის შაბათის გუნდის“ მიერ წარმოდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტება კვლავ შეიცავს ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის ნიშნებს. რაც შეეხება პოზიციას, რომ შესაძლებელი იყო ხელშეკრულების გაფორმებისას ეროვნული ნიშნის დადგენა, აღნიშნულის გარკვევა თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან.

სადავო საკითხი 9:

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-9 პუნქტთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ „ნოდარ მელაძის შაბათის გუნდი“ სრულიად უსაფუძვლოდ მდებს ბრალს დეკლარაციის არასრულყოფილად შევსებაში. კერძოდ, საუბრობს, რომ დეკლარაციაში შესაბამის ველში არ არის მითითებული იჯარით მიღებული შემოსავალი, სინამდვილეში კი, ბოლო დეკლარაციის შევსების მომენტში, ფართი გაქირავებული არ იყო და, შესაბამისად, ვერც მისი იჯარის შესახებ ინფორმაცია იქნებოდა მითითებული. ამას გარდა, გაცნობებთ, რომ წინა წელს მიღებული შემოსავლები, კანონმდებლობის

თანახმად, უნდა აისახოს მომდევნო წლის დეკლარაციაში, რაც ჩემ შემთხვევაში, 2024 წლის შესაბამის პერიოდში (ოქტომბერში) განხორციელდება. ამასთანავე, ამავე პუნქტში ხსენებულ მეორე საკითხთან მიმართებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეალურად მეუღლის სამუშაო ადგილისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია ჩემ მიერ შეტანილია დეკლარაციაში, თუმცა, ვინაიდან ამ ნაწილში არ იქნა მონიშნული გასაჯაროების ველი (სათანადო მონიშვნის ღილაკი), მისი საჯაროდ გამოქვეყნება არ განხორციელებულა, რაც თავის მხრივ ხელმისაწვდომი იყო და არის კიდეც პროგრამულად მონიტორინგის განმახორციელებელი ინსტიტუციისთვის.

ზემოჩამოთვლილის საფუძველზე დაინტერესებული პირის მოთხოვნაა, სააპელაციო ორგანომ განიხილოს წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და დააკმაყოფილოს შპს ,,ტელეკომპანია პირველი“-ს თვითრეგულირების პირველ ინსტანციაში წარმოდგენილი საჩივარი სრულად.

ზეპირი მოსმენის გამართვისას, სააპელაციო ორგანომ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და მოისმინა სადავო მასალის ავტორი ჟურნალისტის, მაკა ჩიხლაძის პოზიცია

სამოტივაციო ნაწილი

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მედიის საქმიანობის მთავარი გარანტიაა. გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის შესაძლებლობებს ეთმობა არაერთი შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ინსტრუმენტი მათ შორის, დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით.

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას მაუწყებლის თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი მოიცავს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს და მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს.

მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება ქცევის კოდექსით დადგენილი

წესით საჩივრდება მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ქმნის მაუწყებელი ან მაუწყებელთა გაერთიანება და რომელიც ფუნქციონირებს ქცევის კოდექსის შესაბამისად. მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები. მათ არ უნდა ჰქონდეთ მიღებული მონაწილეობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ამ კანონის 55ˡ მუხლის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს კომისიაში.

მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების (გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა), აგრეთვე სალიცენზიო პირობებისა და ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას.

მაუწყებლის მიერ ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლი ეთმობა ფაქტის ჯეროვანი სიზუსტეს და პასუხის უფლებას:

1. მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა პროგრამაში მოყვანილი (გადაცემული) ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწოროს შეცდომა.
2. დაინტერესებულ პირს, რომლის კანონიერი ინტერესები, კერძოდ, რეპუტაცია და სახელი, შეილახა მაუწყებლის პროგრამაში არასწორი (მცდარი) ფაქტის მოყვანით (გადაცემით), აქვს პასუხის უფლება ამ მუხლით დადგენილი წესით.
3. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საწყისი განცხადების გაკეთებიდან (მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან) 10 დღის ვადაში შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს, მისცეს მას შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს საწყის განცხადებაში მოყვანილი არასწორი (მცდარი) ფაქტის შესწორება ან უარყოფა მაუწყებლის ეთერში თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა.
4. მაუწყებელი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას პასუხის უფლებაზე, თუ:

ა) ფაქტის შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში არ ყოფილა წარდგენილი;

ბ) საწყისი განცხადება პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება ან მომჩივანი განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული არ არის;

გ) ფაქტის შესწორებას ან უარყოფას საწყის განცხადებასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ან ფაქტის შესწორების ან უარყოფის ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის აუცილებელ ფარგლებს, ან ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა მასში მოყვანილი ფაქტის შესწორება ან უარყოფა;

დ) ფაქტის შესწორება ან უარყოფა გამოიწვევს მაუწყებლისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებას, შეიცავს ცილისწამებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს ან უხამსობას;

ე) ფაქტის შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს;

ვ) მომჩივანი თავის კანონიერ ინტერესს ვერ ასაბუთებს.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხის უფლება არსებობს მხოლოდ მაუწყებლის პროგრამაში არასწორი (მცდარი) ფაქტის მოყვანის (გადაცემის) შემთხვევაში და არ ვრცელდება მოსაზრების/შეხედულების გადაცემაზე.

6. პასუხის უფლებაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში.

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 54-ე მუხლი ეთმობა სამართლიანობის და მიუკერძოებლობის საკითხებს:

1. მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

2. მაუწყებლები ვალდებული არიან ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყონ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წარმოჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე.

დაინტერესებული პირის განაცხადის გათვალისწინებით, კომისიამ შეაფასა რამდენად დაირღვა ჯეროვანი სიზუსტით მუხლი და გავრცელდა სავარაუდოდ გამიზნული, ცალმხრივი, ცრუ ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა იყოს ასევე პატივისა და ღირსების შემლახავი გარემოება.

სააპელაციო ორგანომ დეტალურად განიხილა საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, თანდართული მტკიცებულებები და სადავო მასალა, ასევე გაეცნო სადავო მასალის ავტორის, მაკა ჩიხლაძის მოსაზრებებსა და არგუმენტებს.

სააპელაციო ორგანო მიიჩნევს, რომ დაინტერესებული პირის ინტერესების დაცვისა და საკანონმდებლო ჩანაწერის გათვალისწინებით საჩივარში დასახელებული თითოეული მოთხოვნა ინდივიდუალურად და პუნქტობრივად უნდა შეფასდეს:

სადავო საკითხი #1 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება: სააპელაციო ორგანო მიიჩნევს, რომ აღნიშულ საკითხზე დაინტერესებული პირის პრეტენზია უნდა დაკმაყოფილდეს. გასათვალისწინებელია, რომ სიუჟეტის ავტორი აღიარებს ფაქტობრივ უზუსტობას. ამდენად, “ტელეკომპანია პირველის” გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათის“ გუნდს ეძლევა რეკომენდაცია “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, გააკეთოს განცხადება შემდეგ ფრაზებთან მიმართებით: „შევარდნაძის მმართველობისას გიორგი კალანდარიშვილის მამა მართლაც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა ბატონი სამსონი თანამდებობიდან ხელისუფლების

შეცვლისთანავე, 2003 წელს გათავისუფლდა და ახლა ის უკვე გარდაცვლილია. ამასთან ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ ეს ოჯახის დაგროვილი დოვლათი იყო რატომ თარიღდება მსხვილი შენაძენები მამის პოსტზე მუშაობიდან თითქმის 20 წლის შემდეგ" შეიცავს ფაქტის არაჯეროვან გადმოცემას.

თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს რეკომენდაციაა, სადავო საკითხის ჩასწორების დეტალები შეძლებისდაგვარად დაზუსტდეს შეთანხმდეს საჩივრის ავტორთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვა შესაძლო ზიანი.

მოთხოვნა #2 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება:

ჟვანია ქუჩაზე მდებარე უძრავ ქონებას, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო ორგანო იზიარებს მოპასუხე მხარის მიერ მითითებულ არგუმენტაციას და სიუჟეტში წარმოდგენილ მტკიცებულებას, რომ მდგმურად მყოფებმა დაადასტურეს რომ ლალი ზანდუკელის მდგმურები იყვნენ და მასთან თანხის გადაცემის დროს მესამე პირის საშუალებით ჰქონდათ ურთიერთობა. ამის საპირწონედ კი მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია წარმოების პროცესში ან საჩივრის წარმოდგენისას რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ პირები, რომლებიც ჩანან სიუჟეტში არ არიან ადამიანები, რომლებთანაც შესაძლოა გაფორმებული იყოს ხელშეკრულება ან/და საქმეში წარმოდგენილი არ არის საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელზედაც მიუთითებს მომჩივანი.

მოთხოვნა #3 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება:

შატბერაშვილის 19-20 ნომერში გიორგი კალანდარიშვილის ოჯახის მიერ 5 ბინის შესაძლო ფლობის საკითხთან დაკავშირებით სიუჟეტში გაკეთებული განცხადებების თანახმად, ცალსახაა, რომ ჟურნალისტი საუბრობს არა კონკრეტულად მომჩივანის, არამედ მისი ოჯახის ქონებაზე. ასევე არა აწმყო დროშია საუბარი, არამედ წარსულში, რაც გამორიცხავს მომჩივანის არგუმენტის ლოგიკურობას იმ საკითხზე, რომ გადაცემის გასვლის მომენტში, მომჩივანის დედის სახელზე რეგისტრირებული ერთი საკუთრება, გადაფორმებული იყო მომჩივანის ძმის სახელზე.

მოთხოვნა #4 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება: ოთარ ლორთქიფანიძის 30-ში მდებარე ქონების შესახებ სიუჟეტიდან ჩანს, რომ ჟურნალისტი იყენებს ფრაზას „ამიტომ დაზუსტებით ძნელი სათქმელია", რაც იძლევა განცხადების როგორც მოსაზრებისა და ჟურნალისტის მიერ გაკეთებული სამართლიანი კომენტარად აღქმის საშუალებას. აღნიშნულთან დაკავშირებით იმავე მოსაზრებას ავრცელებს მომჩივანიც, რომელიც დაზუსტებულ პოზიციაში უთითებს რომ „ის (ჟურნალისტი) მიუთითებს, რომ ჩემი ძმის ბინაც შესაძლოა ჩემ საკუთრებას წარმოადგენდეს". აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ჟურნალისტი მიერ სიუჟეტში გაკეთებული განცხადებები აღქმულია საზოგადოების და მათ შორის მომჩივანის მიერ როგორც მოსაზრება და არა ფაქტი.

მოთხოვნა #5 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება:

სააპელაციო ორგანომ შეისწავლა სადავო საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძის მიერ მომზადებული ჩანაწერი და დააზუსტა თუ რა ხერხებს მიმართა ჟურნალისტმა მასალის მომზადებისას - მათ მიმართეს ცესკოს თავმჯდომარეს რომ მოეწოდებინა ოფიციალური დოკუმენტაცია და ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით,

ასევე "ტელეკომპანია პირველის" ახალი ამბების სამსახურს ჰქონდა მსგავსი მცდელობა. აღნიშნულით ნათელი ხდება, რომ მომჩივანმა ხელი შეუწყო რომ ჟურნალისტებს არ მიეღოთ მეტი ინფორმაცია მისგან.

მოთხოვნა #6 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება:

დაინტერესებული პირი სააპელაციო საჩივარში უთითებს, „სიუჟეტის ავტორი ყოველგვარი სამართლებრივი და ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე ავითარებს მოსაზრებას ჩემსა და კომპანიას შორის შესაძლო კავშირის შესახებ".

ამასთანავე, აღსანიშნავია რომ სამშენებლო კომპანიებთან ცესკოს თავმჯდომარის შესაძლო კავშირის შესახებ მოსაზრება არა ჟურნალისტმა, არამედ ამ საკითხებზე მომუშავე საკრებულოს ოპოზიციონერმა პირმა გააკეთა, რაც საავტორო პასუხისმგებლობის მიღმაა.

ჟურნალისტის მიერ გაკეთებული განცხადება „**ეს დამთხვევაა თუ სამშენებლო კომპანიას დაავალეს შეცვლილი ნებართვის სანაცვლოდ ცესკოს მაშინდელი იურიდიული სამსახურის უფროსი მოემადლიერებინა"** არის კითხვით ფორმაში გავრცელებული მოსაზრება, ფაქტების გაცნობის შედეგად ჟურნალისტის მიერ გაკეთებული სამართლიანი კომენტარი და ის ვერ შეიძლება შესწორდეს ან მოხდეს მისი უარყოფა.

მოთხოვნა #7 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება:

სააპელაციო ორგანო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დაინტერესებული პირის განცხადების იმ ნაწილზე, რომელიც არასრულწლოვანი შვილების უფლებებს შეეხება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შემოსავლების მიმართ მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გაშუქებულ მასალაში ჟურნალისტი არ აჭარბებს მაღალი საჯარო ინტერესის საკითხის გაშუქებისთვის საჭიროებას.

მოთხოვნა #8 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება: მერვე მოთხოვნასთან დაკავშირებით, ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ხერხები და მეთოდები (ფრაზა „როგორც ჩანს") იძლევა გაკეთებული განცხადებების როგორც მოსაზრებად აღქმის საშუალებას. გარდა ამისა, მომჩივანს საქმის წარმოების ეტაპზე არ წარმოუდგენია არცერთი მტკიცებულება გარდა მის მიერ მოწოდებული ახსნა- განმარტებისა, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა სიუჟეტში გასული მასალის შინაარსს.

მოთხოვნა #9 შესახებ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება: რაც შეეხება დეკლარაციების შევსების ნაწილთან დაკავშირებით, სააპელაციო ორგანო ეყრდნობა წარმოდგენილ მასალებსა და ჟურნალისტის ახსნა-განმარტებას. რომ სიუჟეტის მომზადებისა და ეთერში გაშვების დროისთვის არ არსებობდა სხვა მტკიცებულება, რომლის მოპოვებაც შეეძლო ჟურნალისტს/მედიას თუმცა ეს არ/ვერ გააკეთა და ამის გამო გაკეთებული განცხადებების უარყოფა ან შესწორება უნდა მოხდეს. ამასთან ერთად, დაინტერესებულ პირს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც სააპელაციო ორგანოს მისცემდა საშუალებას ემსჯელა ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის ნაწილზე.

მომჩივანმა პროცესის მსვლელობისას, დაზუსტებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დეკლარაციის ერთ-ერთი ნაწილი, რომელშიდაც მითითებულია რომ სალომე ჩიკვილაძეს 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სს ბანკი ქართუში ეკავა ისნის სერვის ცენტრის საკრედიტო განყოფილების უფროსის პოზიცია და ხელზე აღებული ჯამური ხელფასის რაოდენობა შეადგენდა 42114.86 ლარს. პირველ რიგში, რთულია კომისიამ მტკიცებულებად მიიღოს დოკუმენტაცია, რომელიც არ არის სრული ფორმით

წარმოდგენილი და მასში ასახულია მხოლოდ სრული დოკუმენტაციის ერთი გვერდი ყოველგვარი დამატებითი ახსნის მითითების გარეშე, თუმცა, ასეც რომ არ იყოს და კომისიამ მტკიცებულებად მიიღოს აღნიშნული.

საინტერესოა დაზუსტებულ პოზიციაში წარმოდგენილი არგუმენტაცია - „ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეალურად მეუღლის სამუშაო ადგილისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია ჩემ მიერ შეტანილ იქნა დეკლარაციაში, თუმცა ვინაიდან ამ ნაწილში არ იქნა მონიშნული გასაჯაროების ველი (ღილაკი), მისი საჯაროდ გამოქვეყნება არ განხორციელებულა“. ვერ იქნება საფუძველი იმისა, რომ ჟურნალისტ დაეკისროს არაჯეროვნად გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, ვინაიდან სიუჟეტის მოკვლევის მომენტში ჟურნალისტი დაეყრდნო მის ხელთ არსებულ და საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციას, სადაც მოსარჩელის თქმითაც არ იყო გამოქვეყნებული ინფორმაცია მეუღლის სამსახურისა და ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, ჟურნალისტმა საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია იმ საკითხის გარშემო, რაც საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი და ლოგიკურია, რომ დეკლარაციაში ინფორმაციის არ არსებობის აღმოჩენისას მედიას გაუჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა კონკრეტულ კანონდარღვევას ჰქონოდა ადგილი დეკლარაციის შევსების დროს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების შეჯერების შედეგად, “ტელეკომპანია პირველის” თვითრეგულირების კომისიის მეორე ინსტანციის კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. შპს „ტელეკომპანია პირველის“ თვითრეგულირების კომისიაში 2024 წლის 20 მაისს შემოსული ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, გიორგი კალანდარიშვილის, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ: “ტელეკომპანია პირველის” ეთერში, გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი“, მაუწყებელმა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ფრაზის შესწორება: „„შევარდნაძის მმართველობისას გიორგი კალანდარიშვილის მამა მართლაც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა ბატონი სამსონი თანამდებობიდან ხელისუფლების შეცვლისთანავე, 2003 წელს გათავისუფლდა და ახლა ის უკვე გარდაცვლილია. ამასთან ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ ეს ოჯახის დაგროვილი დოვლათი იყო რატომ თარიღდება მსხვილი შენაძენები მამის პოსტზე მუშაობიდან თითქმის 20 წლის შემდეგ.“

თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს რეკომენდაციაა, სადავო საკითხის ჩასწორების დეტალები შეძლებისდაგვარად დაზუსტდეს /შეთანხმდეს საჩივრის ავტორთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვა შესაძლო ზიანი.

2. სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი სხვა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს.

3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს სააპელაციო საჩივრის ავტორს და სადავო მასალის ავტორს.

4. გადაცემის სიუჟეტში მოყვანილი არასწორი ფაქტების შესწორების მოთხოვნის თაობაზე თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნათია კაპანაძე

გიორგი მშვენიერაძე

ანნა ლაპიაშვილი